წელიწადი მესამე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

ქართული დივიზიის პოლიტ. განყ. ორგანო.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი რუსთაველის პრ. № 31
(ყოფ. კადეტთა კორპ. შენობა)
რედაქცია ღიაა ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა 9—2 საათამდე.

ხელის მოწერის თვიური ფასი 400,000 მ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით.
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 287 პარასკევი, 1 ივნისი 1923 წ ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მანეთი. № 287

განცხადება

ქართულ დივიზიასთან არსებულ პარტ-კომისია აცნობებს ყველა ნაწილების სამხედრო კომისრებს, რათა სასწრაფოთ გვაცნობონ თუ იმყოფებიან მათ რწმუნებულ ნაწილებში ქვე ჩამოთვლილნი პარტ-ამხანაგები:

1. კარაიძე ეფიმ გიტოს-ძე
2. ბერია გერასიმე დიმიტრის-ძე
3. ხიჯარაძე აპოლონ კირილეს-ძე
4. არუცოვი ლევან გიორგის-ძე
5. ქვრივაშვილი ლევან სიმონის-ძე
6. აბულაშვილი მიხეილ დავითის-ძე
7. ჩახნაშვილი გრიგორი მიხეილის-ძე
8. მანაძე ვარდენ გრიგორის-ძე

ცნობები უნდა იქმნას რაც შეიძლება დაჩქარებით გადმოგზავნილი, თუ ასეთები ამოჩნდებიან თქვენს ნაწილებში.

ქ. დივიზიასთან არსებული პარტ-კომისია:

მზად იყავით.

იმ დროს, როდესაც ჩვენი წარმომადგენელი ამხ. კრასინი აწარმოებს მოლაპარაკებას ლონდონში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლორდ კერზონთან, როდესაც საბჭოთა რუსეთმა გაუგზავნა მეორე პასუხი ინგლისის მთავრობას, რომელიც როგორც ამას აღნიშნავენ ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთებიც კი მეტად თავაზიანი და სამშვიდობო კილოთია დაწერილი და ფიქრობენ, რომ კონფლიქტი თითქმის მოგვარებულია და ინგლისის პასუხი იქნება მეტად მშვიდობიანი და მისაღები საბჭოთა მთავრობისათვის, **სწორედ ამ დროს,** ამ ცნობებთან ერთად მოდის დეპეშები, რომლებიც გვაცნობებენ, რომ ჩვენს წყლებში, მურმანის ნაპირებთან (რუსეთის ჩრდილოეთი მხარე) გამოჩნდა ინგლისის ორი კრეისერი და სამხედრო გემები, რომლებმაც დაარღვიეს ყოველგვარი საერთაშორისო უფლებები ტერიტორიალურ წყლების შესახებ და მიუახლოვდენ საბჭოთა ნაპირებს ერთი მილის მანძილზე.

რაშია საქმე? მოლაპარაკება სწარმოებს და ინგლისი კი სამხედრო გემებს აგზავნის საბჭოთა წყლებში.

როგორც სჩანს მდგომარეობა ისევ სერიოზული რჩება და ინგლისის მთავრობა სრულებით არ ფიქრობს საბჭოთა ქვეყნებთან მშვიდობიან ურთიერთობის დამყარებას.

მოსულ დეპეშებიდან სჩანს, რომ ინგლისი უარს ამბობს აღმოსავლეთის საკითხის შესახებ კონფერენციის მოწვევაზე და დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან აღმოსავლეთის ქვეყნებიდან წარმომადგენლების გაწვევას.

კერზონი ერთგული რჩება ბოლომდის ინგლისის რეაქციონურ—იმპერიალისტური შაიკის და სამშვიდობო ხელშეკრულების მაგივრად სამხედრო გემებს გვიგზავნის.

საბჭოთა რესპუბლიკები არ წამოეგებიან პროვოკაციის ანკესზე. იმათმა თავის დროზე გააკეთეს ყველაფერი იმისათვის, რათა აეშორებიათ ის უბედურება, რომელსაც კერზონის პირველი ნოტა უმზადებდა მათ. იმათმა ეს შესძლეს კიდეც მაშინ. დღეს კი კერზონი ახალ პროვოკაციულ ხრიკებს აწყობს, ჩვენ ამ შემთხვევაშიც დიდ ძალ ღონეს გამოვიჩენთ, რათა ეს შავი ღრუბლები გავფანტოთ მშვიდობიან გზით. მაგრამ ჩვენ დაზღვეული არა ვართ და შეიძლება ინგლისის სამხედრო გემების გასეირნება ჩვენ წყლებში გადაიქცეს ახალ ომების და სისხლის ღვრების დასაწყისად.

ასეთი მდგომარეობა კიდევ ერთხელ აფრთხილებს საბჭოთა ფედერაციის მშრომელებს და წითელ-არმიას მეტად ფხიზლად იყვნენ და ემზადონ უარეს მომავლისათვის.

ჩვენ გვსურს ზავი, მაგრამ მტრები არ გვაძლევენ მშვიდობიან ცხოვრების საშუალებას. „თუ გსურს ზავი — ემზადე ომისათვის“. ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს ფხიზლად რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე!

ამხ. ლენინის წერილი „ჩვენ რევოლიუციაზე“

მოსკოვი. 30 მაისს. სუხანოვის წერილის გამო „პრავდაში“ მოთავსებულია ამხ. ლენინის წერილი „ჩვენი რევოლიუციის შესახებ“. ამხ. ლენინი მიუთითებს, რომ სუხანოვის წერილების გადათვალიერების დროს თვალში გეცემა ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატების ისე, როგორც მეორე ინტერნაციონალის გმირების პედანტობა. მთელი თავისი მოქმედებით ისინი აშკარავებენ თავის რეფორმისტულ სიმხდალეს, მათ ეშინიათ ბურჟუაზიისაგან ჩამოშორების და მით უფრო მასთან კავშირის გაწყვეტის. მათთვის სრულიად უცხოა ის აზრი, რომ მიუხედავათ მსოფლიო ისტორიის განვითარების კანონ-შეწონილობისა, არის განვითარების ცალკე პერიოდები, რომლებიც თავისებური არიან ფორმით ან ისტორიის განვითარების მსვლელობით.

მათ აზრადაც არ მოსდით, რომ რუსეთი, რომელიც დევს ერთის მხრით ცივილიზაციური და მეორე მხრით ცივილიზაციაში ახლათ ჩაბმული მთელი აღმოსავლეთის ქვეყნების საზღვარზე, გამოიჩენდა და უნდა გამოეჩინა ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებიც დევს მსოფლიო განვითარების საერთო ხაზზე. მმგრამ რუსეთის რევოლიუცია განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სხვა რევოლიუციებიდან თავისებურობით, რომელსაც შეაქვს ახალი რამ აღმოსავლეთის ქვეყნებში გადასვლის დროს.

უსაზღვროდ შაბლონიურია ის დებულება, რომ ჩვენ არ ვართ კიდევ გაზრდილი სოციალიზმისათვის, რომ ჩვენში არ არის წინასწარი პირობები სოციალიზმისათვის. თუ სოციალიზმის დასამყარებლად საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე, რათ არ შეიძლება დავიწყოთ ამ დონის მისაღწევად წინასწარი პირობების რევოლიუციონური გზით მოპოება. და შემდეგ კი მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების ნიადაგზე გავსწიოთ წინ, რომ დავეწიოთ სხვა ერებს.

— გერმანიის კომპარტიის ცეკამ და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ რურის კომუნისტურ აჯანყებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

— **საგიფიცვო მოძრაობა რურიდან გადავიდა აგრეთვე ესსენის ოლქშიაც.**

— **რუსეთის მოსაზღვრე წყლებში გამოჩნდა ინგლისის სამხედრო გემები.**

— **გერმანიის კომპარტია მოუწოდებს რურის აჯანყებულებს, რომ არ გასცილდენ მშვიდობიან გაფიცვის ფარგლებს.**

— **ოდესასა და სტამბოლის შორის ეწყობა საჰერო მიმოსვლა.**

— **პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნები ნაციონალურ უთანხმოებათა გამო სკანდალით დამთავრდა.**

რურის ამბები

მუშებს არ უწევენ ანგარიშს

ბერლინში დაიწყო პროფკავშირების მოლაპარაკება რურის სამთო-მადნო მრეწველებთან, შრომის ხელფასის 50 პროც. გადიდების შესახებ მრეწველებმა უარი უთხრეს მუშების მოთხოვნილებას.

იბრძვიან მხოლოდ სამუშაო ხელფასის მომატებისათვის.

გერმანიის კომპარტიის ცეკამ და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავენ რომ რურის სამთო-მადნო მრეწველობის მუშათა მღელვარება გამოწვეულია მხოლოდ სამუშაო ხელფასის მომატებისათვის ბრძოლით. მოწოდებაში ხაზგასმით არის ნათქვამი რომ რურის კომუნისტურ აჯანყებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

გაფიცვები იზრდება.

გაფიცვები რურში იზრდება და იზრდება და ოლქის დასავლეთ ნაწილსაც მოედვა. გაფიცულია ორ მილიონამდე მაღაროს მუშები.

— ბოხუმში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები. რადგან ცეცხლის მქრობელმა რაზმმა უარი უთხრა მუშებს განიარაღებაზე. შეტაკების დროს მოკლეს ორი კაცი, დაიჭრა 30.

შეტაკებები პოლიციასთან მოხდა აგრეთვე დორტმუნდში და კასტროპში.

დიუსელდორფის ადმინისტრაციამ სთხოვა გენერალ დეგუტს ნება დართოს სამრეწველო რაიონებში პოლიციის გაგზავნაზე. თხოვნაში ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარის სარდლობა 1871 წელს სიამოვნებით დაეხმარა საფრანგეთის ხელისუფლებას პარიზის წინაღმდეგ.

„როტე ფანე“ ეხება რა აჯანყებულ რაიონებში შეიარაღებულ რაზმების გაგზავნას, ხედავს ამაში რურის მუშების სისხლში ჩაღრჩობის დასაწყისს.

გერმანიის კომპარტია ემუქრება მთავრობას.

მთავრობის მუქარაზე, რომ მიიღებს მკაცრ ზომებს კომპარტიის წინააღმდეგ და სისხლის აბანოს მოუწყობს რურის მუშებს, კომპარტიამ უპასუხა კონტრ-მუქარით. კომუნისტური პარტია დაემუქრა მთავრობას, რომ გამოააშკარავებს მთავრობის მიერ აჯანყების პროვოკატორულად მომზადებას. კომპარტია მოუწოდებს არ გასცილდენ მშვიდობიანი გაფიცვის ფარგლებს.

ახალი შეტაკებები

რურში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გაფიცვები გრძელდება. ბევრ ადგილებში მუშათა რაზმებს შეტაკება მოუხდა პოლიციასთან და ბურჟუაზიის თავდაცვის რაზმებთან ბოხუმში შეტაკების დროს მოკლეს 18 კაცი. დაიჭრა—80. ბევრ რაიონებში საფრანგეთის ოფიცრები ეხმარებიან გერმანიის პოლიციას კომუნისტებთან ბრძოლის დროს.

ახლო აღმოსავლეთი.

ძნელი ამოცანა იმპერიალისტების.

პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნების სკანდალის გამო „ტაიმსი“ უკეთებს რა კომენტარიებს ამ ხანის ნაციონალურ წინააღმდეგობათა საკითხს სწერს, რომ შეთანხმება რამდენიმე ნაციის ზრახვების ასეთ პატარა ტერიტორიაზე როგორიც არის პალესტინა, მაშინ როცა ეს ნაციონალური ზრახვები ეჯახებიან ერთი მეორეს, არის მეტად საძნელო. არავის არ ჰქონდა წარმოდგენა ამ საკითხის სირთულის შესახებ, როცა ის პირველად წამოიჭრა. გაზეთი მიუთითებს, რომ ეს საკითხი კიდევ უფრო ძნელდება მით, რომ ყველაფერი ეს ხდება აღელვებულ ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე.

ჩესტერის კონცესიები.

ანგორის მთავრობამ გადასცა ისმეტ-ფაშას ლოზანაში ინსტრუქციები ამერიკა-ოსმალეთის მოლაპარაკებისა ჩესტერის კონცესიების შესახებ. ისმეტ-ფაშას მინდობილი აქვს საკითხი განიხილოს ამერიკის ახალ წარმომადგენლებთან, რომელნიც მიდიან ამერიკიდან სპეციალურად ამ მოლაპარაკებისათვის. ანგორის მთავრობა არ არის კმაყოფილი მოლაპარაკების მიმდინარეობით, ვინაიდან ფიქრობს, რომ წარმოდგენილი პირობები უფრო ხელსაყრელია ამერიკისათვის ვინემ ოსმალეთისათვის.

საბჭოთა რუსეთი.

ინგლისის ფლოტი რუსეთის მოსაზღვრე წყლებში.

26 მაისს ჩვენს საზღვრებზე წყლებში გამოჩნდა ინგლისის სამხედრო გემები. ორი კრეისერი, ნაღმოსანი და ორი სამხედრო ტრალლერი.

ეს გემები დღევანდლამდე დასცურავდნენ ჩვენი საზღვრებიდან 10 ვერსის მანძილზე. დღეს, დილის 6 საათზე ციპ-ნავოლოკას მახლობლად გამოჩნდა ინგლისის 2 კრეისერი, 2 სამხედრო ტრალლერი ნაპირიდან ერთი ვერსის მანძილზე ხარლოვის მხარეს განუშორებლად სდგას ნაღმოსანი ნაპირიდან 9 ვერსის მანძილზე. ჯერ-ჯერობით ეს გემები რაიმე სამტრო მოქმედებას არ იჩენენ, თუმცა შესაძლებელია რომ ნაღმები ჩაჰყარონ ზღვაში.

დღევანდლის ცნობით კოლკის ყურეში გამოჩენილა მოცურავი ორთქლის ნაღმი, რომლითაც დასტურდება რომ ჩვენს წყლებში დასცურავს ინგლისის ნაღმოსანი „კადეცი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

ცხენოსან ლეგიონში.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის საგანმანათლებლო დარგში სწარმოებს მუშაობა აჩქარებული ტემპით. 22 მაისს ა. წ. ლეგიონის კლუბის დარბაზში მოეწყო ლექცია ჯადოფანარით უნახავ მიკროსკოპიულ ცხოველებზე და ბაცილებზე, რის შემდეგ ლეგიონის მასწავლებლის მიერ ახსნა—განმარტებულ იქმნა წითელ არმიელებისათვის ბუნების მოვლენათა მიზეზები: ჰაერი, ცვარი, თოვლი, სეტყვა, წვიმა, ელვა, ქუხილი მეხი და მიწის ძვრის შესახებ.

დეზები.

სამაგალითო მუშაკი.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენს ცხენოსან ლეგიონში კლუბის გამგეთ დაინიშნა ამხ. ქვარცხავა, მაგრამ მისმა მუშაობამ უკვე დიდი კვალი დააჩნია ლეგიონის საკულტურ-განმანათლებლო საქმეს. აწყობს სისტემატიურად წარმოდგენებს, პოლიტლატარიას, პოლიტ-საათებს, ანტირელიგიურ საკითხებს, აჩვენებს ჯადოსნური ფარანით სხვა და სხვა სურათებს და უხსნის წითელ არმიელებს. წითელ არმიელები დიდი კმაყოფილნი არიან ასეთი დაუღალავი ხელმძღვანელით.

გრ. ჩ.

ჩვენი კლუბები ამუშავდნენ.

სამშაბათს 29 მაისს ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში გაიმართა კლუბის და ბიბლიოთეკის გამგეების თათბირი. თათბირს დაესწრენ ყველა ნაწილების წარმომადგენლები. მათ მიერ იქმნა გაკეთებული მოხსენებები ადგილებიდგან, საიდგანაც გამოირკვა, რომ აქამდე ნაწილებში სწარმოებდა მასიური მუშაობა ახლად მოწვეულ წითელ-არმიელებთან, რაიც გამოიხატებოდა ლექციებში, ინსცენიროვკებში, სასპორტო და სამხედრო თამაშში და სხვა. ამ მასიურ მუშაობის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მოემზადებინათ წითელ არმიელები წრეებში სამუშაოდ, რაიც (როგორც გამოირკვა) მიხწეული იქმნა. წითელ არმიელთა მასა უკვე ჩათრეულია საკლუბო მუშაობაში და მომზადებულია მკვიდრი ნიადაგი წრეებისათვის. მათი უმთავრესი ყურადღება არის მიქცეული შექმნან უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური, სასპორტო და სამხედრო წრეები.

იყო აგრეთვე ნათქვამი, თუ როგორ უნდა მოაწყონ კლუბები „სალაგეროთ." და რანაირი ხასიათი უნდა ჰქონდეს საკლუბო მუშაობას იქ.

მუშაობის საძირკველი უკვე ჩაყრილია.

დამსწრე.

ამხ. ელბაქიძის ხსოვნას.

ქართულ მსროლელ დივიზიასთან არსებულ სამხედრო პოლიტიკური კურსების კურსანტების ენერგიული მუშაობის შესახებ ბევრი იყო დაწერილი და კიდევ უნდა აღინიშნოს ერთი ტრაღიკული შემთხვევა, რომელიც მოევლინა ძირითად სამოსწავლო ათასეულს. ამ ათასეულში სხვა ამხანაგებთან ერთად იქმნა გადაგზავნილი პოლიტ-მომუშავეთ ამხ ელბაქიძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში ჯერ დუშეთის მაზრაში ჩოლოყაშვილის ბანდიტების წინააღმდეგ და შემდეგ გურიაში. მაგრამ ნათქვამია „კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაალრჩოო", ასე დაემართა ხსენებულ ამხანაგს. ის გარდაიცვალა სრულიად შემთხვევით, უეცრად გასროლილ ტყვიით. ამხანაგი ელბაქიძე იყო ღარიბი ოჯახის შვილი (ლეჩხ. მაზრიდან) და მასთან ენერგიული მუშაკი. ჩვენ სამხედრო პოლიტიკ. კურსების ყოფილი კურსანტნი გამოვსთქვამთდიდ მწუხარებას ამხანაგის უდროვოდ დაკარგვაზე. იმ წითელ დროშას, რომელსაც ის გუშაგათ ედგა ვფიცავთ დავიცავთ. ჩვენ არ გაუშვებთ მას ხელს სანამ არ დავაგვირგვინებთ დაწყებულ საქმეს. ამხანაგო ელბაქიძე შენი ხსოვნა სამარადისო იქნება ჩვენს გულში.

სატელეგრაფო ასეულის პოლიტ-ხელი: **მ. მაჩიტაძე.**

ჩვენი სკოლა.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, კვლავ ახმაურდა ჩვენი ლეგიონის სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს დამსახურებული პედაგოგი ამხ. სერგო ბოლქვაძე, რომელიც წ. არმიელების მოსვლის უმალვე შეუდგა სასკოლო აპარატის ამუშავებას.

ჩვენი სკოლის გამგის ამხ. ბოლქვაძის წყალობით სასკოლო აპარატი სდგას თავის სიმაღლეზე. თუ რაიმე საპატიო მიზეზებმა არ შეგვიშალა ხელი.

ჩვენ ლეგიონში, წერა კითხვის უმეცართა რიცხვი არის 364 კაცი. რომელთაგანაც ყოველდღიურად დადის სასწავლებელში, 310 კაცი. მოწაფე წითელ არმიელთა სწავლის სურვილი დიდია: ისინი ხარბათ ეტანებიან ყოველ „ხმის" შესწავლას და გულმოდგინეთ უსმენენ თავიანთ მასწავლებელს. შემთხვევა მქონდა; გაკვეთილზე შევეკითხე მოწაფეებს იყვნენ თუ არა დაინტერესებული სწავლით. მივიღე შემდეგი პასუხი: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ მანამ, სანამ ჩვენც არ შეგვეძლება სხვისი სწავლებაო, გვეყო რაც უცოდინარნი ვიყავითო". აქედან ცხადია თურა დიდი წადილი და სურვილი უნდა ჰქონდეთ მოსწავლე წ. არმიელებს. მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ, სკოლას არა ჰყავს საკმარისი რიცხვი მასწავლებლებისა, სულ არის ოთხი შტატის მასწ. და 2 შტატ გარეშე, რომელნიც ვერ გადასწვდა ამ ვეებერთელა უცოდინართა რიცხვს, რის გამოც უხდებათ ხანშევლით მეცადინეობა, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამისათვის ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ასეთ დიდ სკოლას, როგორიც არის ჩვენი სკოლა მისცემოდათ შტატ გარეშე მასწავლებელი იმდენი, რამდენსაც საჭიროდ დაინახავდა თვით სკოლის გამგე.

სამხკორი **ტყემალაძე**

სამხედრო საქმე

ციხე-სიმაგრენი თანამედროვე ომში.

თანამედროვე შორსმსროლელი არტილერიით მოერიშეს შეუძლია მეტად დიდი და მასთან გამაგრებული ქალაქი ისე გაანადგუროს, რომ მას არ დასჭირდეს ქალაქს ალყა შემოარტყას. შორსმსროლელ ქვემეხთა დაფენილი ცეცხლი შეიძლება გაძლიერდეს ყუმბარამზიდავ ესკადრილიების ჩამოსროლილ ყუმბარებით, რომელთაც შეუძლიათ ციხეზედ იერიში მიიტანონ დიდ სიმაღლიდან, და არავითარ მოსაგერიებელ ზომებს, საზენიტო ქვემეხებს და საკუთარ მფრინავებს არ შეეძლებათ უზრუნველჰყონ ქალაქი ამ გვარ თავდასხმისაგან. შორს წინ წაწეულ ფორტებსაც არ შეუძლიათ გადაარჩინონ ქალაქი შორსმსროლი არტილერიის ცეცხლისაგან. ეს ფორტები, პირიქით, უფრო საუკეთესო მიზანს წარმოადგენენ მოიერიშის არტილერიისათვის, რადგანაც მომგერიებელის უაღრესად მაგარი, რკინაბეტონის შენობანი და ჯავშნოსანი კოშკებიც კა ვერ უძლებენ მძიმე ზეცემით ქვემეხთა ცეცხლს. ფორტები მოკლე ხანში ნადგურდებიან და აუცილებლივ ქალაქის შუა გულში შესავალი იხსნება. ევროპის უძლიერესმა ციხემ ანტვერპენმა წინააღმდეგობის გაწევა, მხოლოდ თორმეტ დღეს შესძლო.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ციხე ჰკარგავს თავის არსებით დანიშნულებას: მას უკვე აღარ შეუძლია იყვეს სამხედრო სურსათთა საწყობების სავანეთ და ღირსშესანიშნავი სტრატეგიული პუნქტების ხანგრძლივი დაცვა ყოველგვარ თავდასხმისაგან. მას არ შეეძლება—მდინარის გასავალ ფონების, რკინისგზის კვანძების და სხვ. დაფარვა, და როდესაც არმია დროებით მიატოვებს ციხეს საკუთარ ბედ-იღბალზედ, მას ამ შემთხვევაშიაც არ შეუძლია თავისითავი დაიცვას. პარიზსა და მეცს არ შეეძლებოდათ ისე დიდხან გამკლავება, როგორც ეს იყო 1870—1871 წლებში, თუ მათ შეუტევდა თანამედროვე არტილერია, თუ გინდ მათ ჰქონებოდათ თავიანთ განკარგულებაში მოგერიების იგივე საშუალებანი, რაიც იმპერიალისტურ ომში ანტვერპენს ჰქონდა.

ამ აზრის წინაღმდეგ მოიყვანენ ვერდენს, როგორც ამ შეხედულების უარყოფის მაგალითს,—ციხეს, რომელმაც ყოველ შემთხვევაში გასძლო და რომელიც გერმანელებმა, მიუხედავად მრავალი ცდისა და მსხვერპლისა, ვერ დაიპყრეს. მხოლოდ ეს მაგალითი არაა დასაბუთებული დამამტკიცებელი ფაქტორი. ჯერ ერთი რომ ვერდენს არასოდეს არ დაუკარგავს კავშირი არმიასთან, (ის მუდამ წარმოადგენდა არმიის საერთო პოზიციას), და შემდეგ ქალაქის სიმაგრეებმა კი არ გადაარჩინეს დაპყრობისაგან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხელისშემწყობმა მდებარეობამ, რომელიც დამცველს მოგერიების დიდ—უპირატესობას უქმნიდა, უხიფათო სავანეები, ტუნელები მეტად ხელს უწყობდა მომგერიებელს, და ამ ომის საერთო ვითარება ქალაქის დაცვას ხელსაყრელ პირობებში აყენებდა. მაინც, მიუხედავად ამისა ვერდენს არ შეეძლო უზრუნველეყო ხიფათისაგან თავისი საწყობები.

ვერდენი კი არ იფარავდა არმიას ან გარნიზონს, როგორც ეს ძველად ჰქონდათ წარმოდგენილი ციხის დანიშნულება, არამედ მას თვითონ იცავდა და იფარავდა საველე არმია. ეს დიდი განსხვავებაა. და ამით ვერდენის მნიშვნელობა, როგორც ციხისა, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. თვით ფორტები და ციხის სიმაგრე-შენობანი მოიერიშის არტილერიით ძალიან მალე იქმნენ განადგურებული დ მთელ მოგერიების განმავლობაში-იგინი მეორეხარისხოვან მოვალეობას ასრულებდენ. ციხემ, თანამედროვე საშუალებათა წინაშე, დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. ეს უტყუარი ფაქტია და არვის ეჭვი არ უნდა შეეპაროს.

გ. ბ.

რაზმიდან გვწერენ

თავის უფლებებს გადააჭარბა.

ჩვენს ლეგიონსაც ჰყავს თავისი საკუთარი კომენდანტი, რომლის მოვალეობაში შედის ნაწილის თანამშრომლების ბინით დაკმაყოფილება, ამავე ნაწილის სისუფთავის თვალყურის დევნება და სხვა. კომენდანტი ჩემის აზრით მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ ადმინისტრატიულ უფლებებს თავისი ინიციატივით, მხოლოდ ლეგიონის ადმინისტრატორების შემწეობით მას მოჰყავს სისრულეში ესა თუ ის საქმე, რომელიც მას ეხება. მაგრამ ჩვენი კომენდანტი აღჭურვილი გამოდგა ყოველივე ადმინისტრატიულ უფლებებით, არ ვიცი კი ვისაგან... მოხდა ასეთი მაგალითი: ჩვენი ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ნოე ტყეშელაშვილი, რომელმაც არარაობისაგან შექმნა ბიბლიოთეკა, დააყენა უმაღლეს საფეხურზე, იქმნა ოთახიდან გაძევებული კანონიერად, რადგან მისი ოთახი, ლეგიონის სკოლას ესაჭიროებოდა. ამხ. ტყეშელაშვილმა მიმართა კომენდანტს, ამხ. ჰელიძეს რომ იგი დაეკმაყოფილებია ოთახით, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია მის თხოვნას მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ხუთი ოთახი თავისუფალი და აგრეთვე ჰყავდა გასაძევებელი სახაზინო ოთახებიდან ვიღაც უცხო პირები. მრავალ განცხადების შემდეგ ამხ. ტყეშელაშვილი შევიდა ძალით ოთახში, რის გამოც კომენდანტი საშინლად განრისხდა, მოუწოდა იმ წუთსვე ორ შეიარაღებულ ლაშქრელს და თავისი პირადი განკარგულებით დააპატიმრა ხსენებული ტყეშელაშვილი. ამ მოვლენამ უკმაყოფილება გამოიწვია უფრ და პოლიტშემადგენლობაში, რომელმაც მიაღწია ლეგიონის ადმინისტრატორების ყურამდე, რის გამოც ფიცხლავ იქმნა ტყეშელაშვილი განთავისუფლებული და ჩასახლებული იმ ბინაზე, რომელიც მან დაიკავა. კომენდანტი ამხ. ჰელიძე ალბათ მიიღებდა შესაფერ გაკიცხვას, მაგრამ ეს მაინც არა კმარა. საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ასეთ მოვლენებს, რომ მომავალში არ იქნეს განმეორებული.

სამხკორი **ტყემალაძე.**

ცირკულიარი №

თანახმად (,,პურ''-ას) ცირკულიარისა, რომელშიაც არის აღნიშნული პარტამხანაგების მიერ არა წესიერი მოვლა პარტსაბუთებისა, რომელიც იწვევს საბუთების დაკარგვას და სხვა, ამისათვის ქართულ დივიზიის პარტკომისია სთვლის აუცილებელ საჭიროებათ დაევალოს ყველა ქართულ ნაწილების სამხკომებს, რათა წინადადება მისცეს პარტამხანაგებს, რომ დაკარგვა პარტ-საბუთებისა იქნება განხილული, როგორც ერთი არა ერთგული მოპყრობა პარტმოვალეობისა და მათ წინააღმდეგ იქმნება მიღებული შესაფერი ზომები. ყოველ სამ თვიურ მოხსენებაში იყოს ნაჩვენები ციფრობითი რაოდენობა საბუთების დაკარგვისა.

პარტ-კომისია.

ფიცი მწამს—ბოლო მაკვირვებს.

„ჩვენს ჩრდილოეთის წყლებში გამოჩნდა ინგლისის ესკადრა"
დეპეშებიდან.

და გვეფიცება
ინგლისის მთავრობა,
არ უნდა მტკიცება
და არც ჯავრობა!—

რომ არა გვჯერა—
[illegible] უნდობელი!
არა სჩანს ჯერაც
ბრძოლისა ველი!

მაგრამ ჩვენს წყლებში
გამოჩნდა ესკადრა;—
ეტყობა ამ წლებში
თუ მან ეს გვკადრა,—

უჩუმრად, ალბად
დაიწყებს ის ომს;
თავსა ვგრძნობთ კარგად—
დაგვაკლებს რას ლომს?!

მაგრამ მაინცა
ვიყოთ ო, ჩვენ [illegible]!
თუ არ გაიქცა
იგი თავის გზად:

კომუნის ძენო,
მაშინ-კი სმენა!!:
მშრომელთა მზენო,
გვეყო მოთმენა!.

დაშნა

ტირაჟი 1000. პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**